საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 26

ქ. თბილისი

11.07.2018

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურუდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);
ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნინო ჩანადირი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი);
თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართაველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;
სოფიკო ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;
გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;
გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განთლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე;
პაატა ბრეკაშვილი - შპს კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი; **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი; **ნატო გენგიური** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ოლია ვოტ - შპს „პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფ - PMCG-ის ხარისხის მართვისა და შიდა ინტეგრაციის მენეჯერი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები :

შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტი:
სოფიო სუხიშვილი - რექტორი;
ლევან მოსახლიშვილი - რექტორის მოადგილე;
ივანე ბალახაშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
ამირან გიგუაშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი;
ავთანდილ ლაფაჩი - დაწესებულების წარმომადგენელი;
პაატა კუნჭულია - დაწესებულების წარმომადგენელი.

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი:
კახაბერ კორძაია - რექტორი;
ნინო ჩუბინიძე - კანცლერის მოადგილე;
მამუკა თორია - პროგრამის ხელმძღვანელი;
ვახტანგ სვანაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
კახაბერ ჯაყელი - პროგრამის თანახელმძღვანელი;
ირმა მახარაშვილი - ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;
ირაკლი წივწივაძე - იურიდიული სამსახურის უფროსი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:
გიორგი ღაღანიძე;
დავით ცირამუა;
ვასილ კიკუტაძე;
ნინო პატარაია;
გიგი მიშელიძე;
გოჩა თუთბერიძე;
რუსუდან სეთურიძე;
ირაკლი გაბრიაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:38 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 13 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა

რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
4. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შპს ევრორეგიონალური სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლმა დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის ბოლო საკითხად განხილვასთან დაკავშირებით, ვინაიდან დაწესებულების რამოდენიმე წარმომადგენელი ადგილზე არ იმყოფებოდა.

შესაბამისად საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ახალი დღის წესრიგი:
1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა რომ პროგრამაზე სწავლობდა 184 სტუდენტი. პროგრამას ჰქონდა განვითარების პოტენციალი. პროგრამის შესწავლის შემდეგ გამოკვეთილ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებული იყო პროგრამის სპეციალობის არჩევითი დისციპლინების ბლოკიდან სასწავლო კურსები: რისკ-მენეჯმენტი და კორპორაციული მენეჯმენტი გადასულიყო სავალდებულო დისციპლინების ბლოკში და გამხდარიყო სავალდებულო დისციპლინები, ხოლო თავისუფალი კომპონენტის სახით შეთავაზებული ყოფილიყო გაყიდვების მენეჯმენტის სასწავლო კურსი;
- რეკომენდებული იყო „მაკროეკონომიკის" სასწავლო კურსის წინაპირობად განსაზღვრულიყო მიკროეკონომიკის სასწავლო კურსი და არა „კალკულუსი 1";

- რეკომენდებული იყო საბაკალავრო ნაშრომის და პრაქტიკის წინაპირობად, განსაზღვრულიყო მე-8 სემესტრისათვის პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო დისციპლინების ათვისება;
- რეკომენდებული იყო სასწავლო კურსში ,,ბიზნესის კვლევის მეთოდები" დასკვნითი შეფასების მეთოდად გამოყენებული ყოფილიყო არა ტესტური შეფასების მეთოდი, არამედ უშუალოდ კვლევითი პროექტი, რომელზეც უნდა ემუშავათ სტუდენტებს სემესტრის მანძილზე, ხოლო სასწავლო კურსში ,,პროექტების მართვა" სტუდენტის ცოდნის შეფასებისათვის რეფერატის პრეზენტაციის ნაცვლად რეკომენდებული იყო პროექტის პრეზენტაციის გამოყენება;
- რეკომენდებული იყო უნივერსიტეტს შეემცირებინა მოცემული პროგრამის ფარგლებში ერთ აკადემიურ პერსონალზე გაწერილი წასაკითხი სასწავლო კურსების რაოდენობა და უმჯობესი იყო ეს განხორციელებულიყო აფილირებული აკადემიური პერსონალის რიცხვის ზრდის ხარჯზე; ეს საჭირო იყო იმისათვის რომ სტუდენტს სხვადასხვა კურსის ფარგლებში შესაძლებლობა ჰქონოდა სხვადასხვა აკადემიურ პერსონალთან ურთიერთობის.
- რეკომენდებული იყო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების (მარკეტინგის მენეჯმენტი, მეწარმეობისა და ბიზნეს გეგმების ორგანიზება და მართვა, ბიზნესის ეთიკა და სამართლებრივი რეგულირება) სილაბუსში მითითებული ყოფილიყო გამოყენებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის, სალექციო კურსების გამოცემის წლები, მათი იდენტიფიცირების მიზნებიდან გამომდინარე;

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ დაწესებულების მიერ სრულად იქნა გათვალისწინებელი რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ არჩევითი მოდულიდან კურსები რისკ-მენეჯმენტი და კორპორაციული მენეჯმენტი გადასულიყო სავალდებულო კურსების მოდულში. ხოლო, სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულიდან არჩევით მოდულში გადატანილ იქნა ორგანიზაციული ქცევა და საზოგადოებრივი ადმინისტრირება. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა მაკროეკონომიკის წინაპირობად მიკროეკონომიკის განსაზღვრას, რეკომენდაციაც გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების მიერ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბაკალავრო ნაშრომისა და წინაპირობების განსაზღვრისას პროგრამა ხელმძღვანელობდა ზოგადად არსებული გამოცდილებით და სპეციალობის საკვანძო სასწავლო კურსებად შერჩეული იყო ისეთი კურსები, რომელთა შესწავლის გარეშეც ბაკალავრი ვერც პრაქტიკის გავლას და ვერც საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას ვერ შეძლებდა, მით უფრო რომ სასწავლო კურსების უმეტესობას გააჩნდა წინაპირობა სავალდებულო სასწავლო კურსების სახით. რეკომენდაციაზე, კურსში „ბიზნესის კვლევის მეთოდები" დასკვნით შეფასებად გამოყენებული ყოფილიყო კვლევითი პროექტი აღინიშნა, რომ მოცემული გაზიარებულ იქნა დაწესებულების მიერ და გადმოგზავნილ იქნა დანართის სახით.

უნივერსიტეტის წარმომადგენლმა განაცხადა, რომ დაწესებულება ითვალისწინებდა ექსპერტთა პოზიციას საგნების აფილირებული პერსონალის ხარჯზე შექმნის შესახებ. აღსანიშნავი იყო ის, რომ დაწესებულებისათვის პრიორიტეტს და ზრუნვის საგანს წარმოადგენდა აფილირებული პერსონალის ზრდა. ლიტერატურასთან დაკავშირებით არსებულ რეკომენდაციაზე, რომ რამოდენიმე საგანში არ იყო მითითებული გამოცემის წელი,

წარმოადგენდა ტექნიკურ ხარვეზს. ხარვეზი გამოსწორებულ იქნა და გადმოგზავნილ იქნა ინფორმაცია დანართის სახით.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ რამოდენიმე სილაბუსში, მაგალითად "მოლაპარაკების წარმოებაში", შინაარსი არ შეესაბამებოდა ბიზნეს მოლაპარაკებების საკითხს, აღნიშნულ შემთხვევაში წარმოდგენილი იყო საერთაშორისო ურთიერთობების და კონფლიქტოლოგიის თემატიკა. ანალოგიური მეორდებოდა რამოდენიმე სილაბუსში. მან იკითხა, რამდენად მოდიოდა აღნიშნული შესაბამისობაში პროგრამის მიზნებთან.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოლაპარაკების მეთოდები ეკუთვნოდა სოციალური მეცნიერებების მიმართულებას, თუმცა დაწესებულებას მიაჩნდა, რომ შესაბამისობაში მოდიოდა პროგრამის მიზნებთან.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა რომ პროგრამაში სპეციალობის საგნების მიმდევრობა იყო მეხუთე სემესტრში - პროექტის მენეჯმენტი და მეექვსე სემესტრში - ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. მან იკითხა, ხომ არ თვლიდა დაწესებულება, რომ უმჯობესი იქნებოდა აღნიშნული კურსების მიმდევრობა პირიქით ყოფილიყო დალაგებული, რადგან პროექტის მენეჯმენტი მრავალ კომპონენტს მოიცავდა, მათ შორის ადამიანურ რესურსებსაც და იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული საკითხები სტუდენტს გავლილი არ ექნებოდა გაუჭირდებოდა საგნის დაძლევა. პროექტის მართვის შესწავლისას სტუდენტს ადამიანური რესურსები უკვე ათვისებული უნდა ჰქონოდა, რათა შესძლებოდა პროექტის დაგეგმვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროექტის დაგეგმვა ითვალისწინებდა, როგორც მატერიალურ ასევე ადამიანური რესურსების მართვის ნაწილსაც, თუმცა აღნიშნული საკითხები მენეჯმენტის საფუძვლების კურსში გათვალისწინებული იყო, იქ მიღებული კომპეტენცია კი საკმარისი იქნებოდა პროექტის დაგეგმვის განსახორციელებლად. რაც შეეხებოდა ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სილაბუსს, ის ორიენტირებული იყო არამარტო თეორიული უნარჩვევების გამომუშავებაზე, არამედ პრაქტიკული უნარების შეძენაზე. დაწესებულება თვლიდა რომ არსებული თანმიმდევრობა ნახსენები კურსებისა დასაშვები იყო.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ისეთი საკითხები, როგორიც იყო მაგალითად დაქირავება, ისწავლებოდა ადამიანურ რესურსებში, თუმცა საჭირო იყო პროექტის მენეჯმენტის მიმართულებითაც მისი გათვალისწინება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საკითხები ადამიანური რესურსების მენეჯმენტში სიღრმისეულად ისწავლებოდა.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული ნიშნავდა იმას, რომ ისინი მენეჯმენტის საფუძვლებში ისწავლებოდა ზედაპირულად. თუ ორივე შემთხვევაში სწავლება ერთ სიღრმეზე მიმდინარეობდა ეს დროის კარგვა იქნებოდა და უმჯობესი იქნებოდა მისი რაციონალურად გამოყენება. მეწარმეობის თეორიაში ლიტერატურად მითითებული იყო მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო - მარკ დოლინგერის. მან იკითხა ხომ არ იყო საშუალება იმისა რომ ლიტერატურის ნუსხა გაზრდილიყო, მითუმეტეს მეწარმეობაში არსებობდა ამის საშუალება.

უნივერსიტეტის წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს წევრის შენიშვნას და განაცხადა, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში იყო საგნების რამოდენიმე ჯგუფი სადაც მითითებული იყო უცხოენოვანი ლიტერატურა, მათ შორის იყო მეწარმეობის თეორიაც. ამით დაწესებულება სტუდენტებს საშუალებას აძლევდა უცხო ენაზე მოემზადებინათ ლექციები, მათ ვისაც აღნიშნულის შესაძლებლობა ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ მეწარმეობის თეორიასთან დაკავშირებით, გაწერილი იყო მიზანი დოკუმენტაციის მოსამზადებლად საჭირო ცოდნის მიღებასთან დაკავშირებით. დოკუმენტაციის მომზადება ტექნიკური საკითხი იყო და საგანი ამ უნარის გამომუშავებას ხელს უწყობდა, თუმცა სასურველი იქნებოდა მიზანი მეტად ფართო ყოფილიყო

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ მისი პირადი აზრი იყო უმჯობესი იქნებოდა ბაკალავრიატის საფეხურზე ბიზნეს ადმინისტრირების სწავლება, რადგან მენეჯმენტის სპეციალიზაცია უფრო მეტად მაგისტრატურის საფეხურს განეკუთვნებოდა. მას ჰქონდა შინაარსობრივი რეკომენდაცია რამოდენიმე საგანთან მიმართებაში. მაგალითად, ბიზნესის საფუძვლების სწავლება აგებული უნდა ყოფილიყო იმ პრინციპით რომ საგანში შევიდოდა საკითხები და იქნებოდა საუბარი ბიზნესის სხვადასხვა სფეროებზე: მარკეტინგზე, მენეჯმენტზე, აღრიცხვაზე, ფინანსებზე, ბიზნესის სამართლებრივ მხარეზე და აშ. მოცემულ პროგრამაზე ისწავლებოდა ბიზნესის საფუძვლები, თუმცა ნახსენები საერთოდ არ იყო მარკეტინგი, რაც აღნიშნული საგნის ფარგლებში დაუშვებელი იყო. ასევე საუბარი არ იყო ადამიანურ რესურსებზე, მაშინ როდესაც აქცენტი კეთდებოდა ოფშორულ კაპიტალსა და ორმაგ დაბეგვრაზე, რაც ბიზნესის საფუძვლების საგნის საკითხებს სცდებოდა კიდეც. ასევე საგანში - საერთაშორისო ბიზნესი - საუბარი იყო ოპეკზე, რაც თავის მხრივ კარგი იყო, თუმცა ასევე მნიშვნელოვანი იყო განხილული ყოფილიყო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, ჩინეთთან დადებული ხელშეკრულება და ა.შ. რელევანტური იქნებოდა მსგავსი საკითხების სწავლება. საგანში - ფინანსების თეორია - განხილული საკითხები მეტად იქნებოდა რელევანტური ეკონომიკის პროგრამაში, მაგრამ ბიზნესზე უმჯობესი იქნებოდა სხვანაირი მიდგომები კერძოდ, საგანს დარქმეოდა - ფინანსების საფუძვლები და აქცენტირება მომხდარიყო ფინანსებზე ბიზნესის კუთხით და არა ზოგადად.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ როდესაც გამოიცა წიგნი - ბიზნესის აქსიომები, მასში მარკეტინგზე საუბარი არ იყო. საუბარი იყო ბიზნესის საფუძვლებზე, თუმცა რეალურად მარკეტინგი რთულ მეცნიერებად მიიჩნეოდა და მისი დაუფლება სხვა დონეზე იყო საჭირო. შესაბამისად აღნიშნული ნაკლებად წარმოადგენდა პროგრამის ნაკლს.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ შესაძლებელი და აუცილებელიც იყო გარკვეული დროის გამოყოფა მარკეტინგისთვისაც ბიზნესის საფუძვლების კურსის ფარგლებში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ როდესაც ლექტორი სწავლების პროცესში მიჰყვებოდა სახელმძღვანელოს, იქ შესაძლოა გამორჩენილი ყოფილიყო გარკვეული თემები, თუმცა მარკეტინგის საფუძვლები ისწავლებოდა ცალკე საგნად.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ არც ერთი წიგნი არ უნდა ყოფილიყო აღებული, როგორც პროგრამის ძირითადი ნაწილი, საგანი არ ნიშნავდა მხოლოდ კონკრეტული სახელმძღვანელოს სწავლებას, ამიტომ ის, რომ არ ისწავლებოდა გარკვეული თემა რომელიც არ იყო შესული წიგნში არგუმენტად ვერ გამოდგებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაინტერესდა, თუ წიგნი არ იქნებოდა აღებული გარკვეულ ღერძად, მაშინ რა შეიძლებოდა ყოფილიყო საყრდენი. საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა უპასუხა, რომ ეს შესაძლოა ყოფილიყო პროგრამის მიზნები.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მეექვსე რეკომენდაციაში საუბარი იყო საგანზე- ბიზნესის ეთიკა და სამართლებრივი რეგულირება. საგანში ზოგიერთი საკითხი არ ემთხვეოდა ერთმანეთს კონცეპტუალურად. მაგალითად საერთოდ არ არსებობდა ბიზნესის სამართლის ცნება, როგორც ლეგალური დეფინიცია. ბიზნესის სამართალს მოჰყვებოდა

სამეწარმეო სამართალი. ის ლიტერატურა რომლითაც სწავლება ხდებოდა ითვალისწინებდა მხოლოდ შიდა ორგანიზაციულ სამართალს, მეწარმეთა შესახებ კანონს შეხება ჰქონდა მხოლოდ სუბიექტებთან და მათი მოწყობის ფორმასთან და არა ზოგადად სამეწარმეო სამართალთან. ის დაახლოებით ხვდებოდა რისი თქმა სურდა სილაბუსის ავტორს. საკორპორაციო სამართალი იყოფოდა ორ ნაწილად - ანგლო-ამერიკულად და ევროპულად რომელთა შორისაც არსებობდა სხვაობები.

წარმომადგენელი დაინტერესდა, როგორ უნდა მომხდარიყო ისლამური ბანკების შესწავლა, ამერიკული, ევროპული თუ შარიათის წესების საფუძველზე.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ 2016 წელს კლაუს ჰოპტის კრებული გამოვიდა, სადაც შედიოდა მატიას კასპერის სტატია - კორპორაციული მართვა, საწარმოს კონტროლი და შარიათის ბორდი. სწორედ იქ იყო საუბარი იმაზე, როგორ უნდა მიესადაგებინათ ევროპული მოდელი ისლამური კორპორაციებისათვის. თავისმხრივ შარიათის კანონები, მხოლოდ დამატებით რგოლს წარმოადგენდა კორპორაციულ წარმონაქმნში, სადაც მსგავსი სპეციფიკურობა აღინიშნებოდა, რომელიც არ იყო სავალდებულო ორგანო, წესდებით იყო განსაზღვრული მისი მოვალეობები და შესაბამისად როცა საუბარი ეხებოდა შარიათის ბორდს, მისი ამოხსნა შესაძლებელი იყო ჩვეულებრივი კორპორაციული სამართლის დიქოტომიური მოდელით.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ თემას აუცილებლად განიხილავდნენ საგნის ხელმძღვანელთან ერთად.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნული საჭირო იყო, რადგან პირველივე წიგნში სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული იყო გვერდები 9-65, რაც ეხებოდა სოციოლოგიურ ორგანიზაციულ საკითხებს, რაც კავშირში არ იყო ბიზნესთან. ამიტომ რჩევა იყო მომხდარიყო რედაქტირება აღნიშნული მიმართულებით.

16:15 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 16:27 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3^1 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 27^6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, შესაბამისად,

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო შუამდგომლობდა ცენტრის წინაშე, ოქმის გამოქვეყნებიდან 6 თვეში პროგრამაზე განხორციელებულიყო მონიტორინგი, რაც იმას გულისხმობდა, რომ ცენტრს 6 თვის ვადაში მონიტორინგის გზით უნდა გადაემოწმებინა საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიცემული რეკომენდაციების გათვალისწინება.

16:30 საათზე ირაკლი ბურდულმა დატოვა საბჭოს სხდომა. მის ნაცვლად, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ელიზბარ ელიზბარაშვილმა.

2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში 020307
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა რომ პროგრამას ჰყავდა 74 სტუდენტი. პროგრამის შესახებ არსებობდა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებული იყო სასწავლო კურსში ,,კორპორაციის ფინანსური მენეჯმენტი" განხორციელებულიყო შესასწავლი თემატიკის დაკონკრეტება ცალკეული საკითხების დონეზე, რათა ნათლად გამოიკვეთილიყო დისციპლინის შესწავლის შედეგების კავშირი შესასწავლ საკითხებთან;
- რეკომენდებული იყო ,,მართვის თეორიის" სასწავლო კურსის ნაცვლად პროგრამის სავალდებულო დისციპლინების მოდულში შეთავაზებული ყოფილიყო სხვა პროგრამისთვის უფრო მნიშვნელოვანი დისციპლინა;
- რეკომენდებული იყო სასწავლო კურსი ,,საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე თეორიები" მისი სახელწოდებიდან გამომდინარე გაძლიერებულიყო ისეთი საკითხების

შესწავლით, როგორიცაა: უპსალას ინტერნაციონალიზაციის თეორია; ბიზნეს ქსელების მოდელი; საგარეო ბაზრების არჩევის მოდელი; ტრანზაქციური დანახარჯების თეორია; დაბადებული გლობალისტად და ა.შ.

- რეკომენდებული იყო სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას მეტი ყურადღება დათმობოდა ნაშრომში კვლევის მეთოდოლოგიის, კვლევის დიზაინის და მისი რელევანტურობის აღწერას;
- რეკომენდებული იყო ,,საქმიანი კომუნიკაციები"-ს სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული ,,ვიკიპედიის" საინფორმაციო პორტალი შეცვლილიყო სხვა სანდო წყაროთი;
- რეკომენდირებული იყო პროგრამის სტრუქტურაში სასწავლო კურსების სახით გათვალისწინებული ყოფილიყო საერთაშორისო სტრატეგიული მენეჯმენტის, საერთაშორისო მარკეტინგის, საერთაშორისო ადამიანური რესურსების მენეჯმენტის, საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვის მართვისა და ექსპორტ-იმპორტის მენეჯმენტის სასწავლო კურსები; თემატიკები შედიოდა სხვადასხვა კურსებში, თუმცა ექსპერტები თვლიდნენ რომ უმჯობესი იქნებოდა მათი ცალკე საგნებად გამოყოფა.
- რეკომენდებული იყო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით არჩევითი დისციპლინების მოდულიდან სასწავლო კურსები: ,,კროსკულტურული მენეჯმენტი" და ,,ფასიანი ქაღალდები და საერთაშორისო ფინანსური ბაზრები" გადასულიყო პროგრამის სავალდებულო დისციპლინების მოდულში;
- რეკომენდებული იყო ,,მარკეტინგული კვლევის მეთოდები"-ს ნაცვლად პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ყოფილიყო ,,ბიზნესის კვლევის მეთოდები";
- რეკომენდებული იყო პროგრამის მიზნების შესაბამისად გაზრდილიყო პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების არეალი და მეტი აქცენტები გაკეთებულიყო საერთაშორისო კომპანიებში დასაქმების მიმართულებაზე;
- რეკომენდებული იყო სამაგისტრო ნაშრომისა და პრაქტიკის წინაპირობებად ამ კომპონენტების მიზნებიდან გამომდინარე, განსაზღვრულიყო პროგრამით გათვალისწინებული ყველა ის სავალდებულო დისციპლინა, რომელიც სამაგისტრო ნაშრომისა და პრაქტიკის კომპონენტის შესრულებისას ათვისებული უნდა ჰქონოდა პროგრამის სტუდენტს;
- ვინაიდან სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობას წარმოადგენდა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რეკომენდებული იყო პროგრამის სასწავლო კურსებში დამატებულიყო თანამედროვე, უახლეს ტენდენციებსა და მიღწევებზე დაფუძნებული სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები, რომლებიც თავს მოუყრიდა საერთაშორისო ბაზარზე წარმოდგენილი ორგანიზაციებს და მათზე შემუშავებულ აქტუალურ ქეისებს.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ზოგიერთი რეკომენდაციის გათვალისწინება უკვე განხორციელდა მათი მხრიდან, კერძოდ დაწესებულება იზიარებდა ექსპერტთა რეკომენდაციას სასწავლო კურსის „კორპორაციის ფინანსური მენეჯმენტი" სილაბუსში თემატიკის დაკონკრეტებასთან დაკავშირებით. ასევე იზიარდებდნენ რეკომენდაციას სასწავლო კურსის „მართვის თეორია" გადატანასთან დაკავშირებით სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდულში. ასევე გაზიარებულ იქნა რეკომენდაცია კურსში ,,საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე თეორიები" განხილული ყოფილიყო ისეთი საკითხები, როგორიც იყო უპსალას ინტერნაციონალიზაციის თეორია და სხვა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა რეკომენდაციაზე, რომელიც შეეხებოდა სამაგისტრო ნაშრომის მეთოდოლოგიის, კვლევის დიზაინის და სხვა კომპონენტების დეტალურად აღწერას, განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომის თითოეული კომპონენტი და მათი შეფასების კრიტერიუმები დეტალურად იყო აღწერილი „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესში", რომელიც განთავსებული იყო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე იურიდიულ ცნობარში. რაც შეეხებოდა „საქმიანი კომუნიკაციების" სილაბუსს, ვიკიპედიის საინფორმაციო პორტალი ამოღებულ იქნა სილაბუსიდან, თუმცა იქ ასევე მითითებული იყო სხვა ღირებული ლიტერატურა. ცვლილებები განხორციელდა შემდეგი მიმართულებებითაც კერძოდ, ინდუსტრიული მარკეტინგი ჩანაცვლდა საერთაშორისო მარკეტინგით, დაემატა „საერთაშორისო სტრატეგიული მენეჯმენტი" და სხვა. რაც შეეხებოდა „მარკეტინგული კვლევის მეთოდების" „ბიზნესის კვლევის მეთოდებით" ჩანაცვლებას, სასწავლო კურსი „ბიზნესის კვლევის მეთოდები" სავალდებულო სასწავლო კურსად ისწავლებოდა ბიზნესის ფაკულტეტის ყველა საბაკალავრო პროგრამაში, ამიტომ მაგისტრატურაში იგივე სასწავლო კურსის სწავლება დაუშვებელი იყო. პროგრამის ხელმძღვანელისა და სასწავლო კურსის განმახორციელებელი პროფესორის გადაწყვეტილებით, საგნის სახელწოდება იგივე დარჩა, თუმცა განახლდა სილაბუსი და მასში დაემატა საკითხები ბიზნესის კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით.

რაც შეეხებოდა რეკომენდაციას კურსდამთავრებულთა საერთაშორისო კომპანიებში ხელშეწყობასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის 3-წლიან სამოქმედო და 7-წლიან სტრატეგიულ გეგმაში ერთ-ერთ პრიორიტეტად განსაზღვრული იყო კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა, ამიტომაც უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავდა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად პროგრამის მოდიფიცირებასა და განვითარებაზე, რათა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანები ყოფილიყვნენ საერთაშორისო შრომის ბაზარზე. სამაგისტრო ნაშრომისა და პრაქტიკის წინაპირობების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღებოდა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებიდან 5 ძირითადი, საკვანძო კურსი, რომელთაგან უმრავლესობას სხვა სავალდებულო სასწავლო კურსები, ისედაც ჰქონდა წინაპირობად, თუმცა მას შემდეგ, რაც მოხდა კურსების გადანაცვლება არჩევითიდან სავალდებულო მოდულში, ზემოაღნიშნულ 2 კომპონენტს წინაპირობად დაემატა ახალი სასწავლო კურსებიც. რაც შეეხებოდა ლიტერატურის ირგვლივ არსებულ რეკომენდაციას, დაწესებულება იზიარებდა მას. დაწესებულება მუდმივად ზრუნავდა ახალი ლიტერატურის შეძენაზე, ამიტომაც რეკომენდაცია იქნებოდა გაზიარებული და სასწავლო წლის დაწყებამდე უცხოენოვანი ლიტერატურა აისახებოდა სილაბუსებში, რასაც უზრუნველყოფდა ის გარემოებაც რომ ბიუჯეტში ლიტერატურის შეძენისათვის და თარგმანიშთვის არსებობდა შესაბამისი რესურსი.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ ლიტერატურის თარგმნას დრო დასჭირდებოდა და თუ ლიტერატურის გადაუდებელი საჭიროება იდგა შეძენა უმჯობესი იქნებოდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ლიტერატურის შესაძენად ხარჯები უკვე გათვალისწინებული იყო. ამასთანავე დაწესებულებაში ფუნქციონირებდა ენების ცენტრი, რომელიც ასრულებდა მთარგმნელობით საქმიანობას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა წარმოადგენდა, ამიტომ შესაძლებელი იყო ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოყენება და ქართულთან ინტეგრირება, რაც პროგრამაში არ ფიგურირებდა.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულება ყველა რეკომენდაციას იზიარებდა. მას აინტერესებდა, აღნიშნული გამოწვეული იყო დაწესებულების პოლიტიკით თუ მათ უბრალოდ არ მიაჩნდათ მნიშვნელოვნად ეს რეკომენდაციები და თვლიდნენ, რომ დაეთანხმებოდნენ და რეალურად არ გამოასწორებდნენ.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება ყველა რეკომენდაციას არ იზიარებდა და ეს ასახულიც იყო პასუხში. მაგალითისათვის დაწესებულება არ ითვალისწინებდა რეკომენდაციას სამაგისტრო ნაშრომის მეთოდოლოგიის, კვლევის დიზაინის და აშ. დეტალურ აღწერასთან დაკავშირებით, რაც ისედაც დეტალურად იყო აღწერილი დაწესებულების მიერ. ისევე როგორც ვერ იქნა გაზიარებული რეკომენდაცია იმის შესახებ რომ ყველა სავალდებულო საგანი ყოფილიყო წინაპირობა დიპლომის დაცვისა, არჩეულ იქნა ძირითადი მაპროფილირებელი საგნები.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა რას ნიშნავდა აღნიშნული, შესაძლებელი იყო თუ არა ისე დაეწყო სტუდენტს სადიპლომო ნაშრომზე მუშაობა, რომ კრედიტები არ ჰქონოდა გავლილი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტს შესაძლოა რაღაც საგანი გავლილი არ ჰქონოდა, თუმცა თუ ის ხელს არ უშლიდა მუშაობის დაწყებას ნაშრომზე, მაშინ ის ამას შეძლებდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ისინი გაეცნენ ნაშრომებს და აღსანიშნავი იყო, რომ მეთოდოლოგიური ნაწილი იყო საკმაოდ სუსტი. შესაძლებელი იყო კვლევის მეთოდების დონის გამიჯვნა საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა, თუ არსებობდა ჩარჩო, რომელი საგნების გავლის შემთხვევაში მოხდებოდა ნაშრომის დაწყებისათვის თანხმობის მიცემა. ექსპერტმა განაცხადა, რომ არსებობდა მუშაობის დაწყებამდე მისასვლელი გარკვეული ჩარჩო.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თანხმობა იყო იმ რეკომენდაციებზე, სადაც ექსპერტებთან საუბრის დროს არგუმენტირებულად მოხდა დასაბუთება შენიშვნებისა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა, რატომ ეთანხმებოდა დაწესებულება საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე თეორიებში საკითხების დამატების შესახებ რეკომენდაციას. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ კურსში მოცემული იყო კლასიკური და თანამედროვე თეორიებიც, თუმცა უახლესი, თუნდაც უპასალას ინტერნაციონალიზაციის თეორია კურსში შეტანილი არ იყო. აღსანიშნავი იყო, რომ თანხმობა არ იყო ყველა თემის დამატებაზე.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა რამდენი კურსდამთავრებული ჰყავდა პროგრამას და სად იყვნენ ისინი დასაქმებულები.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გასულ წელს პროგრამა დაასრულა 19 სტუდენტმა, ხოლო წელს სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვებული იყო 22 სტუდენტი. ზოგიერთი მათგანი მუშაობდა საერთაშორისო კომპანიებში, ზოგიერთმა დოქტორანტურაში გააგრძელა სწავლა და აშ.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, რამდენად იყენებდნენ მიღებულ ცოდნას კურსდამთავრებულები საერთაშორისო ბიზნესის კუთხით ან იქნებ საერთოდ სხვა პროფილით აგრძელებდნენ მუშაობას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კურსდამთავრებულები საქმდებოდნენ კერძო საერთაშორისო კომპანიებში.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ იყო საკითხები, რაზეც პროგრამაში ყურადღება არ მახვილდებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა იყო MBA -

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში მაგალითად, საერთაშორისო კონტრაქტები მან პროგრამაში ვერ აღმოაჩინა, რის გარეშეც საერთაშორისო ბიზნესი ფაქტობრივად წარმოუდგენელი იყო. ასევე ნაკლებად იყო საუბარი საერთაშორისო ბიზნესში რისკების მართვის კომპონენტებზე. უმჯობესი იქნებოდა პრაქტიკაზე ორიენტირებულობა პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, რა ახსნა შეიძლებოდა ჰქონოდა სტუდენტების პროგრამაზე შედინების დადებით დინამიკას.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა აკრედიტირებული იყო 2012 წლიდან. ალბათ რთული იქნებოდა მხოლოდ ერთი მიზეზის გამოყოფა, თუმცა სავარაუდო იყო, რომ პოპულარობა იზრდებოდა გაცვლითი პროგრამების და დასაქმების შესაძლებლობების ხარჯზე.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, პროგრამაზე მიღებული სტუდენტებიდან რამდენი იყო იმავე დაწესებულების კურსდამთავრებული.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაახლოებით 20%, დანარჩენი იყვნენ სხვა დაწესებულებების კურსდამთავრებულები. ბოლო ერთი წლის მანძილზე დაწესებულება განვითარდა. ჩაერთო ერასმუსის პროექტში. ხელი მოეწერა ერთობლივ პროგრამებს ევროპულ უნივერსიტეტებთან - ალკალასთან და სხვა. ინტერნაციონალიზაცია შედიოდა დაწესებულების პრიორიტეტების სამეულში. ხდებოდა უცხოელი პროფესორების ჩამოყვანისათვის ხელშეწყობა. ამასთანავე მუდმივად იწევდა ინგლისურის ცოდნის მოთხოვნის ზღვარის ზრდა სტუდენტებისათვის, რაც ხელს უწყობდა უცხოენის მცოდნე სტუდენტების მიღებას.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა განაცხადა, რომ სტუდენტებისათვის მნიშვნელოვანი იყო გარემო, სადაც ისინი ისწავლიდნენ, რაც პოტენციურად პოპულარობის ზრდას უწყობდა ხელს.

17:07 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 18:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე-10
წინააღმდეგი- 2

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3^2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებამ დაევალა 2 თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს შესყიდული სახელმძღვანელოების და შესწორებული ლიტერატურის შესახებ ანგარიში. ასევე საბჭოს წევრების მიერ გაცემული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- არსად არ იყო საუბარი ექსპორტ-იმპორტის რეგულაციებზე, რომელიც მოიცავდა საბაჟო გადასახადებს, პრეფერენციულ სისტემებს საერთაშორისო ბაზრებზე.
- თუ სილაბუსი მოიცავდა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების საკითხს აუცილებლად უნდა მმომხდარიყო საერთაშორის ხელშეკრულებების განხილვა, რომელიც უფრო დეტალურად მოიცავდა აღნიშნულ საკითხებს. ორმაგი ხელშეკრულებების საკითხი შესაძლებელი იყო სტუდენტებს ესწავლათ პრაქტიკული დავალების ან case study-ის სახით.
- გასავითარებელი იყო კურსის პრაქტიკული დავალებების (პროექტები რეალურ კომპანიებში ან სიმულაციური პროექტები) case study-ის ნაწილი. აღნიშნული ეხებოდა უშუალოდ სრულ პროგრამას.
- კურსს აკლდა საერთაშორისო პრაქტიკის კომპონენტი. ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ქართულ კანონმდებლობაზე.
- სასურველი იყო კორპორატიული ფინანსების სილაბუსი მეტად მორგებული ყოფილიყო ფინანსურ მართვაზე, მაჩვებელებზე და ამ მაჩვენებლების ანალიზზე. ასევე გასაძლიერებული იყო მენეჯერული აღრიცხვა, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა მენეჯერულ გადაწყვეტილებებთანნ და გაითვალისწინებდა ფინანსურ მაჩვენებლებს. ასევე აღნიშნულ კურსში მხოლოდ მითითებული სახელმძღვანელოთი სწავლება იქნებოდა დროსი ხარჯვა ვინაიდან წიგნში მოცემული იყო თავები რომლებიც საერთოდ არარელევენტული იყო ფინასნურ მართვასთან ან უკვე დაფარული იყო სხვა სილაბუსის ფარგლებში. აუცილებად დასამატებელი იყო სხვა თანამედროვე უცხოური ლიტერატურა.
- საერთასორისო ბიზნეს MBA-ის სტუდენტებს სავალდებულოდ უნდა სცოდნოდათ კომპანიების შერწყმა და აქტივების შესყიდვა და ასევე კომპანიის შეფასება და შეფასების მეთოდები.
- გაურკვეველი იყო საერთაშორისო ბიზნესის 3 სპეც კურსი რატომ იყო განცალკევებული. პროგრამაში ისედაც უნდა ყოფილიყო საერთაშორისო ელემენტები, ხოლიო აღნიშნული3 კურსი შესაძლებელი იყო დანაწევრებულიყო და გაერთიანებულიყო მიმართულებების მიხედვით სხვა სილაბუსებში.
- საქმიან კომუნიკაციებთან ერთად სტუდენტებს აუცლიებლად უნდა გაევლოთ საქმიანი მოლაპარაკებებიც.
- არჩევითი კურსებიდან სასურველი იყო გადმოტანილი ყოფილიყო სავალდებულო კომპონენტში კროს-კულტურული მენეჯმენტი და ფასიანი ქაღალდების კურსები.
- რეკომენდირებული იყო გაძლიერებულიყო მოცემული საკითხების სწავლება, რათა პროგრამა მოსულიყო შესაბამისობაში დასახელებასთან:

საერთაშორისო ხელშეკრულებები;

ბარიერები;

რისკების მართვა;

გადახდის სხვადასხვ ფორმები საერთაშორისო ბიზნესში (აკრედიტივები და ა.შ.);

საგადასახადოს ნაწილი;
ხელშეკრულებები;
საბაჟოს ნაწილი;
ბიზნეს ოპერაციები საერთაშორისო ბიზნესში.
- აუცილებელი იყო შესაბამის საგნებში სასწავლო ლიტერატურად გამოყენებული ყოფილიყო დარგის თანამედროვე, უახლოესი ლიტერატურა.
- რეკომენდირებული იყო პროგრამა ორიენტირებული ყოფილიყო პრაქტიკაზე.
- რეკომენდირებული იყო პროგრამას დამატებოდა სამაგისტრო საფეხურის სწავლების შესაბამისი ბიზნესის კვლევის მეთოდები.

18:00 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ოლია ვოტმა.

3. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ გამოკვეთილ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებული იყო დაზუსტებულიყო სასწავლო კურსის „ბიზნესის მართვის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი" სწავლის შედეგები, რომლებიც ძალიან ფართოდ იყო წარმოდგენილი და სასწავლო კურსის შინაარსი ვეღარ პასუხობდა სწავლის შედეგებს;
- რეკომენდებული იყო დაწესებულებას სასწავლო გეგმაში გაეთვალისწინებინა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების სწავლება. კვლევის მეთოდების შესახებ საგანი ჩასმული იყო პროგრამაში, თუმცა საგანი ძირითადად აგებული იყო სტატიების ანალიზზე, ხოლო კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები სრულყოფილად არ იყო მოცული. ამ ნაწილში პრობლემები და სტუდენტების გაუთვითცნობიერებლობა კვლევის მეთოდების ირგვლივ გამოიკვეთა სტუდენტებთან გასაუბრების დროსაც. კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილი სათანადოდ წარმოდგენილი არ იყო იმ დისერტაციაშიც, რომელსაც ექსპერტები გაეცნენ.
- რეკომენდებული იყო დაწესებულებას გაეზარდა არჩევითი კურსების რაოდენობა და კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, შეეთავაზებინა დოქტორანტებისთვის არჩევითი სასწავლო კურსები. მიმდინარე ეტაპზე არსებობდა მხოლოდ ორი არჩევითი სასწავლო კურსი და უმჯობესი იქნებოდა სტუდენტებს მეტი არჩევანი ჰქონოდათ.
- ექსპერტმა განაცხადა, რომ საჭირო იყო დაცული დისერტაციები გადამოწმებულიყო პლაგიატზე და მომავალში დისერტაციები დაცვაზე დაშვებულიყო მხოლოდ მათი პლაგიატზე შემოწმების შემდეგ. უნივერსიტეტებს სათანადო პროგრამები უკვე გააჩნდათ და დაწესებულებამაც დაადასტურა, რომ მას კავშირი ჰქონდა ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, სადაც გადაგზავნილი იყო 7 დისერტაცია და ხდებოდა მათი შემოწმება, თუმცა შესაბამისი დოკუმენტაცია ექსპერტებს არ უნახავთ, რამაც გამოიწვია ამ რეკომენდაციის ასახვა ნუსხაში.
- რეკომენდებული იყო განხორციელებულიყო ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში; ასევე, შესაბამის კურსებში გადახედილიყო ლიტერატურა, რადგან ზოგიერთ კურსში გამოყენებული იყო 2011 წლის ან უფრო ძველი ლიტერატურა, რაც განახლებას საჭიროებდა.
- მიზანშეწონილი იყო დაწესებულებას შიდა გამოცდების საშუალებით შეერჩია ისეთი დოქტორანტები, რომელთაც ნამდვილად უდასტურდებათ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა. აღნიშნული რეკომენდაციის გაცემა გამოწვეული იყო იმით, რომ სტუდენტების ნაწილი აღნიშნავდა, რომ მათ უჭირდათ ინგლისურენოვან ლიტერატურასთან მუშაობა, ისინი ითხოვდნენ სასწავლო კურსების შესაბამის ქართულ თარგმანებს, რისი პირდაპირი ვალდებულებაც დაწესებულებას არ გააჩნდა, ამიტომ უმჯობესი იქნებოდა პროგრამაზე შესაბამისი ენობრივი კვალიფიკაციის მქონე სტუდენტების მიღება. დაწესებულებას გააჩნდა მოთხოვნა B2 დონეზე ენის ცოდნის და თუ სერტიფიკატი არ აღმოაჩნდებოდა სტუდენტს, ის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდას აბარებდა.თუმცა უმჯობესი იქნებოდა ამ კუთხით მეტი დაზღვევა ყოფილიყო.
- სასურველი იყო გაფართოვებულიყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და გავრცელებულიყო ზუსტ და საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრანტებისა ან მათთან გათანაბრებულ პირებზეც, რადგანაც ამ ეტაპზე პროგრამა უშვებდა მხოლოდ ბიზნესის მიმართულებით განათლების მქონეს, მაშინ როდესაც ხარისხიანი კვლევის განხორციელების უნარი პროგრამით გათვალისწინებული შინაარსის მიმართულებით სხვა დაახლოებული დარგების წარმომადგენლებსაც შესაძლოა ჰქონოდათ.

ამით შესაძლებელი იქნებოდა კონკურენციის გაზრდა და დაწესებულებას პოტენციურად უკეთესი სტუდენტების მიღების საშუალება ექნებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ შეეძლოთ პასუხი გაეცათ იმ რეკომენდაციებზე რომელთა გთვალისწინებაც მოხდა. დაწესებულების წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ პირველ და მეოთხე სტანდარტში უნდა ყოფილიყო შესაბამისობა და არა მეტწილი შესაბამისობა. დაწესებულება გაეცნო არამხოლოდ პირველ რეკომენდაციას, რომელიც შეეხებოდა კურსის „ბიზნესის მართვის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი" სწავლის შედეგების დაზუსტებას. აქ გასათვალისწინებელი იყო ის, რომ საქმე ეხებოდა დოქტორანტებს, რომლებიც წინა ორი საფეხურიდან სახელმძღვანელო ლიტერატურას უკვე კარგად იცნობდნენ და პროგრამის მიზანი იყო განევითარებინა მათთვის ინოვაციური აზროვნება, ყურადღების გამახვილება მომხდარიყო აქტუალურ პრობლემებზე, რათა მათი კვლევაც ყოფილიყო აქტუალური ამიტომაც ლიტერატურაში ჭარბობდა ის სტატიები, რომლებიც პოლემიკას იწვევდა დოქტორანტებში. იმაში დარწმუნებას, რომ სტუდენტებს საბაზო ცოდნა უკვე ჰქონდათ, იწვევდა პროგრამაზე მიღების წინაპირობის არსებობა ბიზნესის მიმართულებით ცოდნის თვალსაზრისით. ამიტომაც ექსპერტთა პირველ რეკომენდაციას დაწესებულება არ ეთანხმებოდა. დისციპლინაში, რომელსაც ექსპერტი გულისხმობდა კვლევის მეთოდებზე საუბრის დროს, გათვალისწინებული იყო რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, თუმცა რეკომენდაციის შემდგომ მოხდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული საკითხების და ლიტერატურის დამატება.

წარმომადგენელმა არჩევითი კურსების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რეკომენდაციას ვერ დაეთანხმებოდნენ. პროგრამას 25 დოქტორანტი ჰყავდა და თითოეული მათგანის კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე კურსების დამატება დაწესებულებას გაუჭირდებოდა. თუმცა დოქტორანტების ყოველწლიური გამოკითხვის შემდგომ, მათი აზრების შესაბამისად ხდებოდა არსებული არჩევითი სასწავლო კურსების განახლება. რაც შეეხებოდა დისერტაციების პლაგიატზე გადამოწმების საკითხს, დაწესებულების მიერ ანტიპლაგიატზე გადამოწმების ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა მიმდინარე წლის 2 მაისს. ხელშეკრულების შესაბამისად ყველა დაცული დისერტაცია შემოწმებულ იქნა პლაგიატზე. მექანიზმის დაწესებულებაში დანერგვის შემდგომ დაცულ იქნა ერთი დისერტაცია, რომლის ანალიზის შემდგომაც პლაგიატი არ დადასტურდა.

წარმომადგენელმა რეკომედაციაზე, რომელიც შეეხებოდა ისეთი პერსონალის ჩართვას პროგრამაში, რომლებიც თავად იყვნენ ჩართულნი კვლევით საქმიანობაში, განაცხადა, რომ მსჯელობის ნაწილში ხაზგასმული იყო, რომ 6 პროფესორს ბოლო 4 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული არ ჰქონდა სამეცნიერო ხასიათის სტატია. დაწესებულება ამას არ ეთანხმებოდა, რადგან გადამოწმების შემდგომ დადგინდა, რომ ბოლო 4 წლის განმავლობაში აღნიშნულ პროფესორებს სტატიები ჰქონდათ გამოქვეყნებული, ამასთანავე სტანდარტი ითვალისწინებდა 5 წელიწადს.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, ასეთი აცდენა რითი იყო გამოწვეული, მისი მოსაზრებით ექსპერტები და დაწესებულება სავარაუდოდ სხვადასხვა წყაროთი ხელმძღვანელობდნენ. ექსპერტმა განაცხადა, რომ იმ დოკუმენტაციის საფუძველზე, რაც მათ გაეგზავნათ, 6 პროფესორს არ ჰქონდა ახალი პუბლიკაციები მითითებული თავიანთ ნაშრომებში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა რეკომენდაციაზე, რომელიც შეეხებოდა ზოგიერთი სასწავლო კურსის, მათ შორის ბიზნესის მართვის აქტუალური პრობლემები და სხვა, გადამუშავებას და ლიტერატურის განახლებას, განაცხადა, რომ ყველა ლიტერატურაში, რაც მითითებული იყო, დაცული იყო პროპორცია. საქართველოში ლიტერატურის სწრაფი განახლება არ ხდებოდა, მაგალითად სამეცნიერო კვლევის მეთოდებში ძირითადად გამოიყენებოდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2009 წელს გამოცემული სახელმძღვანელო და ნაჩნიასის სახელმძღვანელო, რაც დაწესებულების აზრით დამაკმაყოფილებელი იყო. პროპორცია დაცული იყო სწავლების თანამედროვე მეთოდებშიც, სადაც წარმოდგენილი იყო სახელმძღვანელო ლიტერატურაც და უფრო მეტად კი თანამედროვე პუბლიკაციები. რაც შეეხებოდა ინგლისური ენის B2 დონეზე მოთხოვნას, თუ სტუდენტი ვერ წარადგენდა აღნიშნული დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს ის გადიოდა ტესტირებას დაწესებულების ენების ცენტრში. ვიზიტის დროს არ დასმულა ტესტირების მასალის წარდგენის საკითხი ექსპერტებისათვის, დაწესებულება მზად იყო ეს განეხორციელებინა.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, შეეძლო თუ არა დაწესებულებას ჩამოეთვალა რა ჟურნალებს იყენებდა ის სწავლების პროცესსში.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საგანში "ბიზნესის მართვის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი"ყურადღება გადატანილ იქნა იმაზე, რომ საგანში ასახული ყოფილიყო ბიზნესის განვითარების ყველა ახალი საკითხი, ამიტომაც აისახა უახლესი სტატიები. სილაბუსში ჩაიდო 16 სტატია და დაწესებულების წარმომადგენელი რომელიც ხელმძღვანელობდა კურსს, თვლიდა რომ ეს იყო სწავლების ახალი, რელევანტური მეთოდი, განსაკუთრებით სადოქტორო დონის სტუდენტებისათვის, რაც მათ გაუღვიძებდა ანალიტიკური მუშაობის სურვილს.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, დაწესებულება სილაბუსებში იყენებდა კონკრეტულ სტატიებს თუ სამეცნიერო ჟურნალებს.უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს იყო ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარი იყო, რა აზრი ჰქონდა სილაბუსში სტატიის დართვას ლიტერატურის წყაროდ, რომელიც მალე დაძველდებოდა. უმჯობესი იქნებოდა ჟურნალის მითითება, რომელიც მუდმივად განახლდებოდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული სტატიები შეეხებოდა ბიზნესის განვითარების ტენდენციებს, რომლებიც 5-6 წლის მანძილზე კიდევ აქტუალური იქნებოდა. სტატიები ხედვებს უჩვენებდნენ სტუდენტებს, რაც საჭირო იყო.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რამ განაპირობა ის, რომ როგორც წესი დაწესებულებებს პროგრამაზე მიღების ფართო პრერეკვიზიტები გააჩნდათ, რაც ამ პროგრამის შემთხვევაში საპირისპირო იყო.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ როდესაც პროგრამა შეიქმნა, ის ორიენტირებული იყო არა რაოდენობაზე, არამედ ხარისხზე და იღებდა უკვე დარგში ბაზისური ცოდნის მქონე სტუდენტებს. შესაძლებელი იყო ამ წრის გაფართოვება და პროგრამაზე ტექნიკური ცოდნის მქონე სხვა მიმართულებების სტუდენტების დაშვება.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამაზე მიღების ფართო პრერეკვიზიტები სწავლების ხარისხზე პირდაპირ არ აისახებოდა.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა განაცხადა, რომ როგორც დაწესებულება აღნიშნავდა დოქტორანტების აზრის შედეგად ხდებოდა ცვლილებები პროგრამაში. ხომ არ იყო ეს

თანმიმდევრობის დარღვევა, რადგან ჯერ პროგრამა იწერება და შემდეგ ირიცხებოდა დოქტორანტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კურსებთან დაკავშირებით დოქტორანტების მოსაზრება დაწესებულებისათვის ფასეული იყო და ხდებოდა მისი გათვალისწინება.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, ნახეს თუ არა მათ დაცული დისერტაციები.

ექსპერტმა განაცხადა, რომ იმ დისერტაციებში, რომლებსაც ისინი გაეცნენ ბუნდოვანი იყო მეთოდოლოგიის ნაწილი. ეს პრობლემა გამოიკვეთა სტუდენტებთან გასაუბრების შედეგადაც.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა, მიღებისას ხომ არ მიიღებოდა ისეთი კონტიგენტი, რომელსაც სადოქტორო დონის კვლევის მეთოდოლოგიაზე ცოდნა ჰქონდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰქონდა მსგავსი არგუმენტი.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ მაგალითად აკადემიურ წერაში ერთ-ერთი კვირის დავალება შესაძლოა ყოფილიყო, რომ დისერტანტი ამზადებდა წერილს სადისერტაციო საბჭოსთვის. მსგავსი დავალებებით აკადემიური წერის გაუმჯობესება ძალიან რთული იქნებოდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ სტუდენტი ემზადებოდა არა სადოქტოროს დაწერისათვის, არამედ ისეთი ტიპის წერილების დაწერისათვის, რომელიც უბრალოდ პროცესში დასჭირდებოდა. ასევე მან აღნიშნა, რომ სადოქტორო კვლევების მიმართულებით ლიტერატურის სიმცირის ერთ-ერთი მთავარი ახსნა დაწესებულებას მისი ზოგადი სიმცირე ჰქონდა. მაგალითისათვის 2009 წლის სახელმძღვანელო, რაც ნახსენები იქნა დაწესებულებს მიერ მოიაზრებდა შესავალს კვლევის მეთოდოლოგიაში, რაც სადოქტორო დონეზე შეუსაბამო იყო.ამასთანავე რელევანტური არ იყო წასაკითხი გვერდების მითითება დოქტორანტურის სტუდენტებისათვი. მოცემული იყო არა სავალდებულო ლიტერატურა, არამედ სავალდებულო ლინკები, მაკკენზის - საკონსულტაციო ფირმის მოსაზრებები, რაც სამეცნიერო ღირებულების არ იყო და კვლევის კუთხით არ გამოდგებოდა. ფაქტობრივად დოქტორანტისათვის ეს იგივე იყო რაც ბაკალავრისათვის "ვიკიპედია". ჩვენ თუ ვქმნიდით ახალ ცოდნას და დოქტორანტს არ ვასწავლიდით კვლევის მეთოდოლოგიას, ჩნდება კითხვა რა და როგორ უნდა გამოიკვლიოს დოქტორანტმა. არცერთ წარმოდგენილ სილაბუსში სამეცნიერო ჟურნალი არ იძებნებოდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მაკკენზის სტატიები იყო ტრენდის მაჩვენებელი სტატიები, რომელსაც აქტიურად იყენებდნენ დასავლური ორგანიზაციები. ამ წყაროს შეეძლო დოქტორანტებისათვის კრიტიკული ანალიზის უნარის განვითარება. საპირისპიროდ, სამეცნიერო სტატიას არ ჰქონდა ძალა დაეჯერებინა სტუდენტი სადოქტორო დონეზე რომ წაეყვანა საკუთარი კვლევა კონკრეტული მიმართულებით. მაკკენზი აღმოჩენებით უსწრებდა მეცნიერებას და წერდა ტრენდებზე.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, თუ ადამიანი ეცნობოდა ერთი კვლევითი მიმართულების ლიტერატურას, ის როგორ დაადგენდა, რა იყო სფეროში შესწავლილი ან აქტუალური.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თუ სტუდენტი არ გაეცნობოდა მნიშვნელოვან საიტზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას და ორიენტირებული იქნებოდა მხოლოდ წიგნებზე, მას გამორჩებოდა რაღაც ისეთი მნიშვნელოვანი, რაც მომავალში მნიშვნელოვან დანაკლისს გამოიწვევდა.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, აღნიშნულის საფუძველზე დოქტორანტი როგორ შექმნიდა ახალ ცოდნას?

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი მიზანი იყო დოქტორანტისათვის ტრენდების მიმართ ინტერესის და ანალიტიკური უნარების გაღვივება.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ იმ ავტორების უმრავლესობას, რომლებიც ნახსენებ საიტზე სტატიებს აქვეყნებდა, არ გააჩნდათ დოქტორის ხარისხი.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, რა მიზანი ჰქონდა განათლების მენეჯმენტის სწავლებას, სადაც შესული იყო ისეთი საკითხები, როგორიც იყო დიპლომის ფურცლის შევსება და სხვა ბიზნესის სადოქტორო პროგრამაზე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული საგანი არჩევითი იყო და თემატიკა მიდიოდა მარტივიდან რთულისაკენ.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და განაცხადა, რომ სწავლების ნაწილში კარგად იყო დალაგებული სწავლების შედეგები, თუმცა გამოიყენებოდა ისეთი ლიტერატურა, რაც უკვე ძალიან ძველი იყო. ლიტერატურად მითითებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმა, რაც სადოქტორო საფეხურისათვის სრულიად შეუსაბამო იყო. საჭირო იყო ლიტერატურის გადახედვა, რადგან თემატიკა შესაბამისობაში არ მოდიოდა საფეხურთან.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, რამდენი დოქტორანტი ჰყავდა პროგრამას და რამდენი პროფესორი უზრუნველყოფდა მათ ხელმძღვანელობას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჰყავდათ 25 დოქტორანტი და არცერთი პროფესორი არ ხელმძღვანელობდა 2-ზე მეტ დოქტორანტს. რაოდენობა იმითაც იყო განპირობებული, რომ ზოგიერთი სტუდენტი ვერ ახერხებდა დაცვას და ამიტომ აგრძელებდა სწავლას. ზოგადად კი წლიურად 5 დოქტორანტზე მეტი არ მიიღებოდა.

19:04 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 19:38 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -0
წინააღმდეგი - 11

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

საბჭომ მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტის 1.2 და 1.3 კომპონენტები იყო დარღვეული, შესაბამისად პროგრამა ვერ უზრუნველყოფდა მესამე საფეხურის შედეგებზე გასვლას.

19:50 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა სოფიკო ლობჟანიძემ.

4. შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ვინაიდან დაწესებულებას გააჩნდა ორი კამპუსი - თბილისსა და გორში, ორივე ლოკაციაზე წინასწარ დაგეგმილი დღის წესრიგის ფარგლებში განხორციელდა შეხვედრები. ექსპერტთა ჯგუფმა გაარკვია, რომ დაწესებულებას ჰყავდა 58 აზერბაიჯანელი სტუდენტი, რომლებთანაც შეხვედრის ორგანიზება ვერ მოხერხდა, თუმცა დაწესებულებამ მიაწოდა მათ საკონტაქტო ინფორმაცია, მაგრამ დაკავშირების შემდგომ აღმოჩნდა რომ სტუდენტებმა ქართული არ იცოდნენ. ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ მათ

კომპეტენციას სცდებოდა აღნიშნული საკითხის შესწავლა, ამიტომ მოხდა ცენტრის საქმის კურსში ჩაყენება. რაც შეეხებოდა პროგრამის ირგვლივ არსებულ რეკომენდაციებს, ექსპერტმა განაცხადა რომ საბჭოს რეკომენდაციებს გააცნობდა რიგითობის მიხედვით.

- პირველი რეკომენდაცია შეეხებოდა იმ სწავლის მეთოდების დაზუსტებას და მკაფიო განსაზღვრას, რომლებიც გამოიყენებოდა სასწავლო კურსების სილაბუსებში.
- რეკომენდირებული იყო გარკვეული ცვლილება, კერძოდ კურსი - ფინანსების საფუძვლები, შეცვლილიყო კურსით - ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები.
- რეკომენდირებული იყო დაწესებულებას ჰქონოდა კონკრეტული სტრატეგია კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.
- რეკომენდირებული იყო გააქტიურებულიყო პოტენციური დამსაქმებლების როლი პროგრამის შემუშავების პროცესში, სრულად ყოფილიყო გამოყენებული მათი რესურსები, მათ შორის პრაქტიკის ობიექტების სპექტრის გაზრდაში, სტუდენტებისათვის პრაქტიკოსებთან მეტი შეხვედრებისათვის, სტაჟირებისათვის და სხვა.
- რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსებში გაწერილიყო ზუსტად ის სწავლის მეთოდები, რომლებიც გაითვალისწინებდა მათ სპეციფიკას.
- რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსის - ადამიანური რესურსების წინაპირობად განსაზღვრულიყო კურსი - მენეჯმენტის საფუძვლები.
- რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსის - პრაქტიკული ბუღალტერია - წინაპირობად განსაზღვრულიყო კურსები - ფინანსური აღრიცხვა და ბუღალტრული აღრიცხვა.
- რეკომენდირებული იყო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი ყოფილიყო არჩევითობა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სტუდენტებთან საუბრის დროს შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ისინი ინფორმირებულნი არ იყვნენ რომ არსებობდა არჩევითი კურსები.
- რეკომენდირებული იყო დახვეწილიყო სასწავლო პროცესის მართვისათვის გამოყენებული სისტემა.
- რეკომენდირებული იყო ჩამოყალიბებულიყო სტუდენტთა შეფასების მონიტორინგის სისტემა და უზრუნველყოფილიყო სტუდენტთა კონსულტირება შეფასების გაუმჯობესების მიზნით.
- რეკომენდირებული იყო გაზრდილიყო აკადემიური პერსონალის ჩართულობა სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის პროცესში და უზრუნველყოფილი ყოფილიყო სტუდენტთა ინფორმირებულობა ამ შესაძლებლობის შესახებ.
- რეკომედირებული იყო გაძლიერებულიყო კვლევითი კომპონენტი, რომელიც მოცემული მომენტისათვის საკმაოდ სუსტი იყო.
- რეკომენდირებული იყო გაძლიერებულიყო პრაქტიკული კომპონენტის მოცულობა და უზრუნველყოფილიყო პრაქტიკაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა.
- რეკომენდირებული იყო შემუშავებულიყო და სტუდენტებისათვის ცნობილი გამხდარიყო სტუდენტური ინიციატივების და პროექტების დაფინანსების წესი.
- რეკომენდირებული იყო გაძლიერებულიყო უცხოენოვანი კომპონენტის სწავლება.
- რეკომედირებული იყო სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილიყო გაცვლით პროგრრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა. ექსპერტმა აღნიშნა რომ ეს უკანასკნელი საკითხი ეხებოდა ინტერნაციონალიზაციის საკითხს, რომელიც სუსტად იყო წარმოდგენილი, ამიტომაც დამატებითი რეკომენდაციას სწორედ ინტრენაციონალიზაციის პოლიტიკის შემუშავება და მის სამოქმედო გეგმაში ასახვა წარმოადგენდა.
- რეკომენდირებული იყო კურსებში: მენეჯმენტის საფუძვლები, ოპერაციული მენეჯმენტი, საინოვაციო მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, პროექტის

მენეჯმენტი, რისკ-მენეჯმენტი დაკონკრეტებულიყო სილაბუსის ავტორები და განმახორციელებელი პერსონალი. შესწავლის დროს აღმოჩნდა რომ ექვს სილაბუსს ჰყავდა ერთი და იგივე ავტორი, რაც შეზღუდვა არ იყო, თუმცა რეალობას ნაკლებად შეესაბამებოდა. დაწესებულების მხრიდან პასუხი იყო რომ ავტორი ამ სილაბუსებს ერთი და იგივე ჰყავდა, ამიტომაც რეკომენდაციაში იყო მითითება დაზუსტებულიყო წამკითხველი პერსონალი.

- რეკომენდირებული იყო გაძლიერებულიყო კვალიფიკაციის ამაღლების და პროფესიული განათლების ხელშეწყობის მექანიზმები რაც უზრუნველყოფდა დაწესებულების კონკურენტუნარიანობის გაზრდას.
- საჭიროებას წარმოადგენდა ზოგიერთ სასწავლო კურსში ლიტერატურის განახლება.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა რატომ არ გადმოაგზავნა დაწესებულებამ არგუმენტირებული პასუხი.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაწესებულებაში დაემთხვა ავტორიზაციის პროცესი და ამიტომაც დროის სწორი განსაზღვრა ვერ მოხერხდა. რადგანაც ავტორიზაციის პროცესშიც ინტერნაციონალიზაცია ამოსავალი წერტილი იყო, საჭიროდ მიაჩნდათ ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება. გარდა ამისა სასწავლო კურსებთან დაკავშირებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მომხდარიყო ლექციების დიგიტალიზაცია და მისი ატვირთვა, რაც ნიშნავდა დაწესებულებაში ინოვაციური მეთოდების შეტანას. ასევე მიღებული იქნა გადაწყვეტილება მოეწვიათ პრაქტიკოსი სპეციელისტები სასწავლო კურსების განსახორციელებლად, რომლებიც თავად იყვნენ ჩართულნი მნიშვნელოვან პროექტებში.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა, რა იგულისხმებოდა საკონსულტაციო ჯგუფში, რომელიც ნახსენები იქნა დაწესებულების მიერ.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამი წლის წინ დაწყებული რებრენდინგის პროცესის ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულება საკონსულტაციო ჯგუფთან, რომელიც დაკომპლექტებული იყო წარმატებული ადამიანებისაგან და ისინი დაწესებულებას დახმარებას უწევდნენ სხვადასხვა საქმიანობაში. ამ ჯგუფის საქმიანობის პროცესში მოხდა რამოდენიმე პროგრამის აკრედიტაციაც. დაწესებულებას ჰქონდა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც დამკიცებული იყო. გარდა ამისა დაიწყო ახალი სამუშაოებიც ამ მიმართულებით, რაც მოიცავდა უცხოენოვანი პროგრამების დანერგვას. დაწესებულების წარმომადგენელი, რომელიც იმყოფებოდა პოლონეთში შეეცადა ერასმუსის ფარგლებში გაეფორმებინა ხელშეკრულებები და იგეგმებოდა გაცვლითი პროგრამების ამოქმედებაც. ამასთანავე, არსებობდა რეკომენდაცია რომ გაზრდილიყო ინგლისური ენის საათები, რაც რეალურად ექსპერტთა ვიზიტამდეც გააზრებულ საჭიროებას წარმოადგენდა და ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე გაძლიერება მოხდა ამ კუთხითაც. გაზრდილ იქნა არჩევითი საგნების კომპონენტიც. ასევე შექმნილ იქნა ბაზა და თუ სტუდენტი აქამდე სიტყვიერად გებულობდა ინფორმაციას არჩევითი კურსების შესახებ, ამჟამად შესაძლებელი იყო მისთვის ინფორმაციის მიწოდება ახალი ბაზის საშუალებით. შეიქმნა კარიერული განვითარების ცენტრი, რომელმაც დაიწყო მუშაობა. ჩატარებულ იქნა გამოკითხვები, მოპოვებულ იქნა ინფორმაცია დასაქმების შესახებ და ზრუნვა ამ კუთხით აქტიურად მიმდინარეობდა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა ქრონოლოგიურად მიყვებოდა თუ არა რეკომენდაციებს დაწესებულების წარმომადგენელი პასუხისას, რადგან რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ გარკვეული საკითხები პასუხის გარეშე რჩებოდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის აქცენტს აკეთებდა ექსპერტის მიერ ხაზგასმულ რეკომენდაციებზე.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა განაცხადა, რომ ის საკითხები რაზეც ყურადღება მახვილდებოდა დაწესებულების მიერ უფრო მეტად ავტორიზაციის საბჭოს მოსასმენ ინფორმაციას შეესაბამებოდა ვიდრე აკრედიტაციისა, ამიტომაც უმჯობესი იქნებოდა პროგრამის შინაარსობრივ ნაწილზე კონცენტრირება.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას დრო ეძლეოდა წარმოედგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც წესით გადმოგზავნილი სახითაც უნდა მიწოდებოდა საბჭოს, თუმცა რადგანაც ეს არ მოხდა უმჯობესი იქნებოდა რეკომენდაციებზე კონკრეტული პასუხების გაცემა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაყვებოდა რეკომენდაციების ნუსხას და საბჭოს პასუხებს მიაწვდიდა შესაბამისად. შრომის ბაზრის კვლევების შესახებ რეკომენდაციაზე განაცხადა, რომ მათ ჩატარებული ჰქონდათ შრომის ბაზრის კვლევები, თუმცა ექსპერტთა პოზიცია იყო რომ გამოკითხული იყო ცოტა რესპოდენტი, ამიტომაც ჩართული იქნა პროცესში შესაბამისი ორგანიზაცია, რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნებოდა შემდგომ მუშაობაში.

რეკომენდაციაზე პროგრამაში სწავლის მეთოდების დაზუსტების და მკაფიოდ გამოკვეთის შესახებ, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აქ საუბარი იყო იმაზე, რომ რამოდენიმე მეთოდი პროგრამაში არ იყო მოცემული, თუმცა სილაბუსებში არ იქნა მოძიებული, მაგალითად მოზაიკის მეთოდი. დაწესებულებას შეეძლო დაესახელებინა კურსები სადაც ეს მეთოდი ჩადებული იყო, თუმცა ისინი ეთანხმებოდნენ ექსპერტებს იმ ნაწილში რომ იყო ორი-სამი მეთოდი რომელიც არ იყო სილაბუსებში გაწერილი.

წარმომადგენელმა მოისურვა ყურადღების გამახვილება კურსზე - ფინანსების საფუძვლები.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ მან ეს საგანი კურსების ჩამონათვალში ვერ მოიძია. ფიქსირდებოდა საგანი - ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები, თუმცა არა ფინანსების საფუძვლები.

წარმომადგენელმა რეკომენდაციაზე ფინანსების საფუძვლების შესახებ თქვა რომ, საგანი შენარჩუნებულ იქნა, თუმცა მისი სილაბუსი დაიხვეწა და მოვიდა შესაბამისობაში. დამსაქმებლების ჩართულობის შესახებ პროგრამაში, აღინიშნა, რომ დაწესებულება ემხრობოდა ჩართულობის ზრდას, თუმცა მათი უკვე არსებული აქტივობა იმაშიც ჩანდა, რომ მეორადი პროფესია პროგრამიდან ამოღებულ იქნა სწორედ დამსაქმებელთა მოთხოვნით, რომელთა სურვილიც იყო მეტი რაოდენობით ყოფილიყო წარმოდგენილი სპეციალობის საგნები.

რაც შეეხებოდა სტაჟირების შეთავაზებას, მიმდინარეობდა მემორანდუმებზე მუშაობა და მომავალში კურსდამთავრებულებისათვის მოხდებოდა შეთავაზებების განხორციელება. რელევანტური სწავლის მეთოდების გამოყენების შესახებ აღინიშნა, რომ სწავლის მეთოდები თითოეულ კურსში ვრცეული იყო მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, იქნებოდა ეს წერილობითი მეთოდი, პრეზენტაციები თუ სხვა. მაგალითისათვის საერთაშორისო ფინანსები მოიცავდა ქეისებს, ამოცანების შესრულებას რაც სტუდენტებს უვითარებდა პრაქტიკულ უნარებს. ასევე მნიშვნელოვანი იყო რეკომენდაცია სასწავლო კურსებში ინფორმაციული ტექნოლოგიებით სწავლება, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე. რისი გათვალისწინებაც მოხდებოდა და კურსები დაიხვეწებოდა ამ მიმართულებით.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, კონკრეტულად რომელ სასწავლო კურსზე იყო საუბარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება მოახდენდა ორი სასწავლო კურსის დანერგვას, სადაც მოხდებოდა ვიდეო სალექციო კურსების ატვირთვა და სტუდენტევისათვის მიწოდება, რაც ვიზუალიზაციის ფონზე სტუდენტებისათვის სწავლის პროცესს გაამარტივებდა. ლექტორს ატვირთული ექნებოდა მთელი სალექციო კურსი. ეს იყო ექსპერიმენტი და თუ წარმატებული გამოდგებოდა მოხდებოდა მისი აქტიური გამოყენება სწავლებაში.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა, იყო თუ არა შანსი რომ სტუდენტს ლექციებზე დასწრების გარეშე, მხოლოდ ვიდეო ლექციების საშუალებით გაევლო კურსი, იყო თუ არა რაიმე სავალდებულო მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტთა დასწრებას.

სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ვიდეო ლექციები საკონტაქტო საათებს ვერ ჩაანაცვლებდა. რაც შეეხებოდა ლექციებზე სიარულს, ეს სავალდებულო კრიტერიუმს ისედაც არ წარმოადგენდა. მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ სისტემა იყო ახალი დანერგილი, ექსპერტთა თანდასწრებითაც მიმდინარეობდა ბაზაში მუშაობა და ბაზას გააჩნდა გარკვეული ხარვეზები რადგან პროგრამა იყო ახალი შემქნილი და ბაზების შეყვანა ხდებოდა.

რაც შეეხებოდა კვლევითი კომპონენტის გაძლიერებას, დაწესებულების მიერ განხორციელებულ იქნა ოთხი პროექტი, გამოყოფილ იქნა 100 000 ლარი, გამოცხადდა 4 საგრანტო პროექტი, მათ შორის ერთი სტუდენტებისათვის. ერთი პერსონალისათვის და ერთი სტუდენტებისა და პერსონალისათვის, ხოლო ბოლო გამიზნული იყო ფუნდამენტალური კვლევებისთვის. სტუდენტების პროექტი უკვე დაფინანსებულ იქნა მონაწილეობას მიიღებდნენ საზაფხულო სკოლაში. დაწესებულებაში 6 სასწავლო კურსი იყო განკუთვნილი ინგლისურისათვის და სტუდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ინგლისურენოვანი ნებისმიერი საგანი. დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ ინგლისურის გაძლიერებისათვის მათ მოწვეული ჰყავდათ უცხოელი ტრენერი, რომელიც კვირაში ერთხელ ატარებდა უფასო მეცადინეობებს და ეხ ხელმისაწვდომი იყო სხვადასხვა პროფილის სტუდენტებისათვის.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, აზერბაიჯანელი სტუდენტები იყვნენ გორში თუ თბილისში.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანელი სტუდენტები იყვნენ გორში, თუმცა ამჟამად დარჩენილი იყო მხოლოდ 9 სტუდენტი.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა რამდენი სტუდენტი ირიცხებოდა პროგრამაზე.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დღეისათვის ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამაზე 130 სტუდენტი ირიცხებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კარგი იყო უცხოელი სტუდენტების მიღება, თუმცა უმჯობესი იქნებოდა ერთი წლის მანძილზე ესწავლებინათ მათთვის ქართული ენა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ენას ასწავლიდნენ. ეს სავალდებულო იყო. გამოვიდა ისე, რომ ფიზიკურად ვერ მოხერხდა მათი შეხვედრა აკრედიტაციის ექსპერტებთან, თუმცა ავტორიზაციის ჯგუფი მათ ესაუბრა. ქართული ენის ბარიერის გამო სტატუსის შეჩერება სტუდენტებისათვის ხშირად უწევდათ.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა, ქართული ენის ბარიერის გამო სტატუსის შეჩერება პროგრამის მსვლელობის დროს ხდებოდა თუ არა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თუ სტუდენტი შენიშნავდა რომ უჭირდა მასალის დაძლევა ქართულად ამ შემთხვევაში ხდებოდა სტატუსის შეჩერება.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა რამდენი კრედიტი ეთმობოდა ქართულ ენას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამისათვის კრედიტი გამოყოფილი არ იყო, ეს იყო ენის გაძლიერების კურსების მსგავსი სწავლება, პროგრამის გარეთ.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ პროგრამის გაცნობისას აღმოაჩინა, რომ სასწავლო პროგრამა მოდულებად იყო დაყოფილი რაც დადებითი მხარე იყო პროგრამის. ის შეჩერდებოდა რამოდენიმე საგანზე, რომელთა შესახებაც მას გააჩნდა რჩევები. ფინანსების მოდულიდან, ერთ-ერთ საგანს ერქვა პრაქტიკული ბუღალტერია. აქცენტი კეთდებოდა ძირითადად ორისის პროგრამაზე. უმჯობესი იქნებოდა საგანს რქმეოდა ორისის სწავლება ან მსგავსი სახელი. ვინაიდან ბუღალტერია თავისტავად პრაქტიკულობას მოიცავს.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ შენიშვნა იყო რომ აღნიშნულ საგანს პრერეკვიზიტში არ ჰქონდა საფინანსო აღრიცხვა. ქრონოლოგიურად კურსები სწორად იყო განლაგებული, თუმცა დოკუმენტურად იყო გაწერა საჭირო.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვა ქრონოლოგიურად სწორად იყო დალაგებული, თუმცა გაწერილი არ იყო.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ მარკეტინგის მოდულში იყო საგანი საცალო ვაჭრობა. უმჯობესი იქნებოდა ესწავლებინათ საგანი გაყიდვები. ასევე, ლოჯისტიკის საგანის სილაბუსი არ იხსნებოდა, თუმცა ისედაც გაუგებარი იყო რატომ იყო ის წარმოდგენილი მარკეტინგის მოდულში და არა მენეჯმენტის. თავისმხრივ მენეჯმენტის მოდულიდან პრაქტიკული მენეჯმენტი ძალიან ჰგავდა "Case study"-ს. მან ასევე თქვა, რომ საერთაშორისო ფინანსების მოდული მოიცავდა ზედმეტად ბევრ თემას, რომლის დაძლევაც სუდენტებს არსებული დატვირთვის ფარგლებში გაუჭირდებოდათ. მაგალითად წარმოუდგენელი იყო როგორ ხდებოდა ერთი შეხვედრის ფარგლებში ისეთი თემების დაფარვა როგორიცა იყო: ობლიგაციები, აქციები, წარმოებული ფასიანი ქაღალდები. თემატიკა იყო არეული კორპორატიულ და საჯარო ფინანსებში, კორპორატიულ ფინანსებში დამხმარე ლიტერატურად მითითებული იყო სახელმძღვანელოები საჯარო ფინანსებში. რაც სავარაუდოდ იმით იყო გამოწვეული რომ ორივე საგანს ერთი და იგივე ლექტორი ასწავლიდა.

წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს რჩევებისათვის და უთხრა რომ უმჯობესი იქნებოდა მათი წერილობითი სახით მიწოდება, რადგან ზეპირად დამახსოვრება რთული იყო,

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ იკვეთებოდა საკითხების განმეორება და ამის დაკორექტირება იქნებოდა საჭირო. მაგალითად სტატისტიკებში, ერთი მათგანი მათემატიკური თეორიული ფოკუსით იყო მოცემული, მეორე კი პრაქტიკული გამოთვლების კუთხით, სადაც მეორდებოდა რიგი საკითხები, მაგალითად ცენტრალური ტენდენციები. სტრატეგიულ მენეჯმენტში მოცემული იყო სახელმძღვანელო ქალბატონი ეკა ჩოხელის თემატიკაზე აგებული, თუმცა ასევე საჭირო იქნებოდა ლიტერატურის გამდიდრება უცხოური სახელმძღვანელოების ქართული თარგმანებითაც, მაგალითად სტრიკლენდის სახელმძღვანელო და აშ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული რჩევა ალბათ დამხმარე ლიტერატურას შეეხებოდა.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ უპასუხა, რომ ეს დაწესებულების წარმომადგენლების გადასაწყვეტი იყო, მათ უნდა განესაზღვრათ რომელი იქნებოდა

დამხმარე და ძირითადი ლიტერატურები. ასევე კონცეფციების გადახედვა იქნებოდა საჭირო ფულის ღირებულების შესახებ.

20:53 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 21: 19 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი- 4

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ევროპეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომა დასრულდა 21:45 საათზე.

თავმჯდომარე
ირაკლი ბურდული

ელიზბარ ელიზბარაშვილი

მდივანი
ნინო ჩანადირი